ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N12

28.09.2016

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

დღის წესრიგში წარმოდგენილია 3 ძირითადი საკითხი:

1. ავტორიზაციისათვის მზადება და პროგრამების ჩაბარების ვადები;
2. სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე დაშვების მინიმალური ქულის დადგენა;
3. თინათინ კროპაძის დიპლომის ფორმისათვის განსაზღვრული მონაცემების შექმნა;
4. სხვა საკითხები

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი:

ნანა სუმბაძე, ლალი სურმანიძე

ასოცირებული პროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, მაია მესტვირიშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი, ლუიზა არუთინოვი, თამარ აბაშიძე, გიორგი გოროშიძე, ლილი ხეჩუაშვილი,

ასისტენტ პროფესორები: თეონა ლოდია, ნინო ლაბარტყავა, ირინა გედევანიშვილი, ჩხიკვიშვილი ლია

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

ზაქარია ქიტიაშვილი

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:

ფსიქოლოგიის მიმართულება :

სალომე თოფურია

მარიამ ტაბატაძე

ნინო ცინაძე

ქეთევან აბესაძე

ანი ზერეკიძე

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 22 წევრი

განიხილეს:

1. ავტორიზაციისათვის მზადებისა და პროგრამების ჩაბარების ვადების საკითხები

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით საჭიროა

მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მოწესრიგება. (სადოქტორო პროგრამები არ საჭიროებენ კორექციას).

ასოც. პროფესორის მანანა მელიქიშვილის თხოვნით, სამაგისტრი პროგრამების ხელმძღვანელებმა, 17 ოქტომბრისთვის უნდა გადააგზავნონ მხოლოდ სამაგისტრო პროგრამები (სილაბუსების გარეშე), რომლებშიც შეუძლიათ შეიტანონ ცვლილებები (ამატებენ ახალ საგანს, ცვლიან მოდულებს), თუ ამის სურვილი აქვთ. თუ ცვლილების შეტანის სურვილი არ აქვთ, მაშინ შესაცვლელი ექნებათ მხოლოდ სასწავლო გეგმის ტექნიკური სტრუქტურა.

ასევე, 17 ნოემბრისთვის უნდა გადააგზავნონ სამაგისტრო პროგრამების სილაბუსების პაკეტი. სილაბუსებში სავალდებულოა ტექნიკური ცვლილებების შეტანა (თუ კი აქვთ სურვილი, შეუძლიათ შეცვალონ სილაბუსის შინაარსიც, დაამატონ ახალი სასწავლო საგანი). ინსტიტუტის კანცელარიაში უნდა შეიტანონ ხელმძღვანელებმა 17 ოქტომბრისთვის იმ სასწავლო საგნების მხოლოდ ჩამონათვალი (სილაბუსების გარეშე, რადგან სილაბუსების მხოლოდ ელექტრონული ვერსიები გვჭირდება), რომლებსაც ინსტიტუტის აკადემიური პერსონალი კითხულობს ან წაიკითხავს ბაკალავრიატის დონეზე. ხოლო 17 ნოემბრისთვის, პაკეტის სახით მოგვაწოდონ ინსტიტუტში შემავალი აკადემიური პერსონალის სილაბუსების ელექტრონული ვერსიები. ცხადია, რომ სილაბუსის შესაბამისი ქართულენოვანი სახელმძღვანელო ან რიდერი ბიბლიოთეკაში უნდა იყოს წარდგენილი.

მომხსენებლის განმარტებით, სილაბუსებში საჭიროა მცირე ცვლილების შეტანა, კერძოდ, შეიცვალა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გაწერის პრინციპი. აქვე პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განისაზღვრა სილაბუსში ლექციაზე დასწრების, როგორც დამოუკიდებლად არსებული კრიტერიუმის ამოღების რეკომენდაცია. ხოლო დატოვების შემთხვევაში მისი დასწრება/აქტივობად გადაკეთების საჭიროება და შესაბამისი დასაბუთება.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ქ. ჭკუასელმა აღნიშნა, რომ პროგრამებს ისედაც უწევთ უახლოეს პერიოდში აკრედიტაციის პროცესისათვის გადაწყობა და ამ ტიპის ცვლილებების შეტანა სილაბუსებში ავტორიზაციის პროცესისათვის, უბრალოდ, პროფესორების დროის კარგვის და ფუჭი დატვირთვის ხასიათს ატარებს.

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ მოახსენა საბჭოს, რომ იგი არ ეთანხმება მოწოდებულ რეკომენდაციას დასწრების კრიტერიუმის ამოღებასთან დაკავშირებით, რადგან თვლის, რომ დასწრება, სწორედაც რომ ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა სტუდენტებისათვის საგნის სწავლის შედეგის მისაღწევად.

საბჭომ მოისმინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროფესორ მანანა მელიქიშვილის მოხსენება და მიიღო ცნობად. იმავდროულად, კენჭი უყარა საკითხს - მიეცეთ რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელებს, რომ გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან დასწრება/აქტივობა და გაიწეროს სილაბუსებში ცალ-ცალკე.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

2. სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე დაშვების მინიმალური ქულის დადგენა;

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ საჭიროა განისაზღვროს ფაკულტეტზე არსებულ პროგრამებში სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე დაშვების მინიმალური ქულა. იგი ამ ეტაპისათვის შეადგენს შესაძლო 60 ქულიდან მხოლოდ 11-ს. უნივერსიტეტის ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციით, გამოცდაზე დაშვების მინიმალურ ქულად შეიძლება განისაზღვროს არსებული 11 ქულა ან არჩევანი 21-სა და 31-ს შორის უნდა შეჩერდეს.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ქეთევან ჭკუასელმა აღნიშნა, რომ საჭიროა მინიმალურ ქულად განისაზღვროს 31, რათა ხელი არ შევუწყოთ ფაკულტეტზე მოქმედ პროგრამებზე მარტივად ბარიერის გადალახვას, შესაბამისად, დაბალი აკადემიური ცოდნისა და კომპეტენციის სტუდენტებვის გამოშვებას.

პროფესორმა ხათუნა მარწყვიშვილის აზრით, რეალობა ისეთია, რომ ბევრ ჩვენს სტუდენტს უწევს მუშაობა, შესაბამისად, 31 ქულის განსაზღვრა მინიმალურ ბარიერად პირდაპირი სასჯელი იქნება. მით უფრო, მინიმალურ ბარიერად, ფაქტობრივად, საგნის ნახევრად ცოდნას ვუდებთ სტუდენტს.

პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ იზიარებს წინა მომხსენებლის აზრს და დასძენს, რომ როდესაც რაიმე მინიმალური ბარიერის აწევა ხდება, სჯობს, ეს მაჩვენებელი არ აღემატებოდეს, ფაქტობრივად, 100%-ს. შესაბამისად, სტუდენტის გამოცდაზე დაშვების მინიმალურ ბარიერად ლოგიკურად მიიჩნევს 21 ქულას.

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ, აზრთა სხვადასხვაობის პირობებში ლოგიკური იქნება, თუ ცალ-ცალკე დაისმება თითოეული ბარიერად სახელდებული ქულა და ასე მიიღებს საბჭო გადაწყვეტილებას.

საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და სტუდენტის გამოცდაზე დაშვების მინიმალური ქულის დადგენის მიზნით ჩატარებული კენჭისყრის შედეგები ასე განისაზღვრა

სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე დაშვების მინიმალურ ზღვრად განისაზღვროს 11 ქულა
მომხრე: 1
წინააღმდეგი: 19
თავი შეიკავა: 2

სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე დაშვების მინიმალურ ზღვრად განისაზღვროს 21 ქულა
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 2
თავი შეიკავა: 1

სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე დაშვების მინიმალურ ზღვრად განისაზღვროს 31 ქულა
მომხრე: 3
წინააღმდეგი: 17
თავი შეიკავა: 2

3. 1992 წლის კურსდამთავრებულ თინათინ კროპაძის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

დეკანმა , პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ თსუ–ს რექტორს განცხადებით მიმართა 1992 წლის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა თინათინ კროპაძემ, რომელიც ითხოვს მის სახელზე ახალი დიპლომისა და დანართის მომზადებას.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ თინათინ კროპაძე 1987 წელს ჩაირიცხა (ბრძ.#4/713, 25.08.1987) თსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობაზე.

1992 წელს (ბრძ.#4/497, 08.07.1992 წ.) დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1992 წლის 18 ივნისის სხდომის (ოქმი უნომრო) გადაწყვეტილებით მას მიენიჭა ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, სპეციალობით - სოციალური ფსიქოლოგია.

ფაკულტეტი ვალდებულია თინათინ კროპაძის სახელზე გასცეს ახალი დიპლომი მოქმედი ფორმით, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. (რექტორის N55/01–01 16.04.2014წ. ბრძანების შესაბამისად).

ვინაიდან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ დგინდება თინათინ კროპაძის სახელზე გასაცემი ახალი დიპლომის ფორმისათვის სავალდებულო მონაცემების, კერძოდ, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განისაზღვროს მის დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტები და 1992 წლის დაუნომრავი ოქმები პირობითად დაინომროს შემდეგნაირად:

18 ივნისის სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს მიენიჭოს #2, 18 ივნისის ზოგადი ფსიქოლოგიის ოქმს მიენიჭოს #4, 18 ივნისის ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს #5, 18 ინისის შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს #6. 10 ნოემბრის შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს მიენიჭოს #7 და 10 ნოემბრის ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს #8. (#1 მინიჭებული აქვს 24 ოქტომბრის ფილოსოფიის სპეციალობის ოქმს, #3 - 18 ივნისის ფილოსოფიის სპეციალობის ოქმს.)

აღნიშნულ ნომრებს წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (პირობითი) ნომრის პირობითობის აღსანიშნავად. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად :
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

4. სხვა: ფაკულტეტის საბჭოს სხდომის გამართვის რეგულირების საკითხი

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მიმართა რეკომენდაციით, რომ სამსახურებრივი საჭიროებებისა თუ მოუცლელობის გამო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის გაცდენების შესამცირებლად მნიშვნელოვანი იქნებოდა განსაზღვრულიყო კონკრეტული თარიღი, რაც შესაძლებლობას მისცემდა პროფესორ-მასწავლებლებს დაეჭირათ თადარიგი და გამოცხადებულიყვნენ საბჭოს სხდომებზე. შესაბამისად, მომხსენებელმა შემოტიანა საბჭოს წინაშე ინიციატივა, რომ ფაკულტეტის საბჭოს სხდომების გამართვის რეგულარულ თარიღად განისაზღვროს ყოველი თვის ბოლო კვირის სამშაბათის 18 საათი.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

5. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისთვის „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ ფართის გამოყოფის საკითხი.

დეკანის მოადგილემ, ასოც.პროფ.-მა ხ. მარწყვიშვილმა საბჭოს განსახილველად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის ნ. ბელქანიას წერილი, რომელშიც ის კვლავაც ითხოვს ოთახს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მისი ხელმძღვანელობით მოქმედი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისთვის „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“.

აზრი გამოთქვეს: ასოც./პროფ. თ. აბაშიძემ აღნიშნა, რომ სრულიად მიუღებლად მიაჩნია განხილულ წერილში გატარებული აზრი აღნიშნული პროგრამების „განსაკუთრებულობის“ შესახებ. საბჭო დაეთანხმა მის მოსაზრებას, რომ აკადემიური პროგრამების კლასიფიცირება „პრივილეგირებულ/არაპრივილეგირებულ“, „ელიტარულ/არაელიტარულ“ და სხვა მსგავს კატეგორიებად ჩრდილს აყენებს უნივერსიტეტის პრესტიჟს და არღვევს კოლეგიალურ ეთიკას.

პროფ. ქ. ჭკუასელმა წამოჭრა საკითხი განათლების მეცნიერებების მიმართულების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისთვის ოთახების გამოყოფის შესახებ. მისი აზრით, სრულიად გაუმართლებელია სხვა ფაკულტეტის პროგრამების უზრუნველყოფა ფართით მაშინ, როცა ფაკულტეტი ვერ აკმაყოფილებს საკუთარ პროგრამებს.

პროგრამების ხელმძღვანელებმა - ა. ქიტიაშვილმა და მ. მესტვირიშვილმა ისაუბრეს საზოგადოდ სააუდიტორიო ფონდის უკმარისობაზე. მაგალითად, მათი აღნიშვნით, ე.წ. ინსტიტუტების ოთახები ვერ იტევს სტუდენტებს, რის გამოც ლექციის ჩასატარებლად მათ უწევთ უფრო მოზრდილი აუდიტორიის ძებნა, ამგვარად, ინსტიტუტებისთვის გამოყოფილი ოთახები ვერც სამაგისტრო სწავლებისთვის და ვერც საბაკალავრო სემინარებისთვის აუდიტორიის ფუნქციას ვერ ასრულებს. დეკანმა, პროფ. გაგოშიძემ პროფესორებს ურჩია პრეტენზიების წერილობითი ფორმით წარდგენა.
პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრების მოსაზრებების გათვალისწინებით, დასამტკიცებლად დააყენა საკითხი - უარი ეთქვას ფართით უზრუნველყოფაზე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს - „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“, რადგან ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტს ამ ეტაპზე არ გააჩნია სასწავლო-

აკადემიური პროგრამების (როგორც სამაგისტრო, ისე სადოქტორო) დამოუკიდებელი ფართით უზრუნველყოფის რესურსი.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

6. პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მიმართა ინიციატივით, განახლებულ კორპუსში გადმოსვლისა და აუდიტორიებში უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული ნორმების დაცვის მიზნით, სალექციო თუ სასემინარო საათზე აუდიტორიაში შესასვლელად პროფესორ-მასწავლებლებმა თავად მოიპოვონ უნივერსიტეტის დაცვის სამსახურში შესაბამისი გასაღები, რადგან დაცვის თანამშრომლებს მიეცათ რეკომენდაცია, არ გასცენ გასაღებები სტუდენტებზე. მომხსენებელმა საბჭოს წევრებთან შეთანხმებით განაცხადა, რომ ის აუდიტორიები, რომლებშიც არ არის განთავსებული ძვირადღირებული ტექნიკა, არ იყოს დახურული და წარმოადგენდეს სტუდენტებისათვის ღია სივრცეს.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებებს და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

1. სტუდენტის დასკვნით გამოცდაზე დაშვების მინიმალურ ქულად განისაზღვროს 21 ქულა.

2. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 1992 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 18 ივნისის სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმში მითითებულ კურსამთავრებულთა, მათ შორის თინათინ კროპაძის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომრად განისაზღვროს #2/პ.

18 ივნისის ზოგადი ფსიქოლოგიის ოქმს მიენიჭოს #4/პ, 18 ივნისის ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს #5/პ, 18 ინისის შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს #6/პ. 10 ნოემბრის შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს მიენიჭოს #7/პ და 10 ნოემბრის ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმს #8/პ.

3. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტს ამ ეტაპზე არ გააჩნია სასწავლო-აკადემიური პროგრამების (როგორც სამაგისტრო, ისე სადოქტორო) დამოუკიდებელი ფართით უზრუნველყოფის რესურსი. შესაბამისად, უარი ეთქვას ფართით უზრუნველყოფაზე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს - „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე / /

სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი / /